

გარემოვაჭრე ქალები და პანდემია: ბრძოლა ყოველდღიური საჭიროებებისთვის

კონტექსტის მიმოხილვა

კოვიდ-19-ის პანდემია, ჯანმრთელობასთან ერთად, ნეგატიურ გავლენას ახდენს განსხვავებული სოციალური ჯგუფების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ხელისუფლება პანდემიის დაწყებიდან დღემდე, სხვადასხვა ტიპის შეზღუდვებს აწესებს ვირუსის გავრცელების მასშტაბების შესამცირებლად. პირველად, საქართველოში, საყოველთაო კარანტინი 2020 წლის 31 მარტს გამოცხადდა. შეზღუდვების თანახმად, აიკრძალა ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება, დაიხურა საგანმანათლებლო დაწესებულებები, ღია და დახურული ბაზრობები და ამოქმედდა კომენდანტის საათი¹. ამავე წლის ზაფხულში, ინფიცირების მაჩვენებელი შემცირდა, რის გამოც შეზღუდვები ეტაპობრივად მოიხსნა. თუმცა, ინფიცირების შემცირებულმა მასშტაბებმა მხოლოდ შემოდგომამდე გასტანა; ამის შემდეგ, ხელისუფლებამ დამატებითი შეზღუდვები დააწესა 2020 წლის 28 ნოემბრიდან, რის საფუძველზეც, სხვა შეზღუდვებთან ერთად, კვლავ სრულად აიკრძალა ღია და დახურული ბაზრობების ფუნქციონირება და მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება². „სახლში დარჩი“ პოლიტიკამ, განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა მოახდინა არაფორმალურად დასაქმებულ ადამიანებზე, რომელთა დიდი ნაწილიც ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის მიღმა დარჩა. საგულისხმოა ისიც, რომ არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა უმრავლესობას ქალები, საპენსიო ასაკის ადამიანები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფის წევრები წარმოადგენენ (ქებურია 2017).

სახელმწიფო, გარემოვაჭრეების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინების ნაცვლად, რეპრესიულ პოლიტიკას მიმართავს; ვარდების რევოლუციის შემდეგ პერიოდში, ხელისუფლებაში მოსულმა ნაციონალურმა მოძრაობამ, უნებართვო გარევაჭრობა კანონგარეშედ გამოაცხადა. საჯარო ტერიტორიებიდან გარემოვაჭრეების განდევნა დაიწყო და აღნიშნული

¹ საქართველოს მთავრობა. ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა. მოპოვებულია 5 იანვარი, 2021. <https://stopcov.ge/ka/Gegma>.

² "საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება და პრევენციული ქმედებები - ქრონოლოგია." ფაქტ-მეტრი. 4 თებერვალი, 2021. მოპოვებულია 20 იანვარი, 2021. https://factcheck.ge/ka/story/38395-საქართველოში-კორონავირუსის-covid-19-გავრცელება-და-პრევენციული-ქმედებები-ქრონოლოგია?fbclid=IwAR1e0F68M73o_oLIOM5r-Lkxujo98th1lKNDiUhNEVoYSQI5oT5FRQPMnIc.

სივრცეები, სუპერმარკეტებმა და სავაჭრო ცენტრებმა დაიკავე. მსგავსი პოლიტიკა გაგრძელდა მას შემდეგ, რაც 2016 წელს ქართული ოცნება, საკონსტიტუციო უმრავლესობით მეორე ვადით აირჩა; 2017 წლიდან ხელისუფლებამ გარემოვაჭრეებისგან ქუჩების დაცლა და მათთვის კომერციული ფართების შეთავაზება დაიწყო, რისი სახსრებიც გარემოვაჭრეებს არ ჰქონდათ (ქარჩილაძე 2018). წლების გასვლის მიუხედავად, სახელმწიფოს გარემოვაჭრეობასთან დაკავშირებით ქმედითი პოლიტიკა არ შეუმუშავებია; მეტიც, პანდემიის დროს სახელმწიფომ დაწესებული საგანგებო მდგომარეობით ისარგებლა და გორში გარემოვაჭრეების დახლები კომენდანტის საათის დროს დაშალა³. 28 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე დაწესებული ის შეზღუდვები, რომელიც ნებისმიერი ტიპის საცალო ვაჭრობას კრძალავდა, 2020 წლის 30 ნოემბერს რუსთავში დასაქმებულმა გარემოვაჭრეებმა გააპროტესტეს; მათ შეზღუდვების მიუხედავად საკუთარი საქმიანობის განახლება სცადეს სახელმწიფომ კი პროტესტის გააანალიზების ნაცვლად გარემოვაჭრეებს დაშლისკენ მოუწოდა⁴.

პანდემიამ არსებული ეკონომიკური კრიზისები კიდევ უფრო გაამწვავა. ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარების მექანიზმი გარემოვაჭრეებისთვის ბუნდოვანია მათი საქმიანობის არაფორმალური ბუნებიდან გამომდინარე და, ამასთან ერთად, დახმარების სახით გამოყოფილი თანხა არასაკმარისია მათი და მათი ოჯახის წევრების ბაზისური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული კონტექსტიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევითი სტატიით, ცვდილობთ გავაანალიზოთ გარემოვაჭრეობის სოციალური და ეკონომიკური განზომილებები უშუალოდ გარემოვაჭრე ქალების პერსპექტივიდან. სტატიისთვის გორსა და თბილისში დასაქმებულ გარემოვაჭრე ქალებთან ათი ინტერვიუ ჩავწერეთ. მათი უმეტესობა პენსიონერია და ოჯახში ძირითად შემომტანად ითვლება. კვლევის ძირითადი მიგნებები შემდეგ ქვე-თავებად დავაჯგუფეთ: (1) გარემოვაჭრეების წინარე

³რადიო თავისუფლება. "გორში გარემოვაჭრეების დახლები დაშალეს." 16 აპრილი, 2020.

მოპოვებულია 22 იანვარი, 2021.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/30558800.html?fbclid=IwAR0liZLCPHPff0H0QwIMxIjx0cb4p7pNv0mCDcmEhubiTBVn6TrJDtR4AwA>.

⁴ EMC. "EMC: სახელმწიფომ უნდა აღიაროს რუსთავში გარემოვაჭრეთა პროტესტის მიზეზები და გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები." 1 დეკემბერი, 2020. მოპოვებულია 15 იანვარი, 2021. <https://emc.org.ge/ka/products/emc-sakhelmtsifom-unda-aghiaros-rustavshi-garemovachreta-protestis-mizezebi-da-gaitvalistsinos-mati-motkhovnebi>.

გამოცდილებები და ოჯახური მდგომარეობა, (2) გარემოვაჭრე ქალების მდგომარეობა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე.

გარემოვაჭრეების წინარე გამოცდილებები და ოჯახური მდგომარეობა

გარემოვაჭრობა არაფორმალური ეკონომიკის განსაკუთრებულად ხილვად კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც ხასიათდება მძიმე სამუშაო პირობებით და საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულებით (International Labour Organization). თავად გარემოვაჭრეებიც საკუთარ სამუშაოს ახასიათებენ როგორც არასტაბილურს და ნაკლებად მომგებიანს, თუმცა არსებულ რეალობაში გარევაჭრობა მათთვის ერთადერთი გამოსავალია. ტრანსპორტზე დაწესებულმა შეზღუდვებმა მყიდველების რიცხვი შეამცირა, რაც გარემოვაჭრეების შემოსავალზეც აისახა.

როგორც აღვნიშნეთ, რესპონდენტების უმეტესობას წარმოადგენენ პენსიონერი ქალები, ზოგიერთი მათგანი არის იძულებით გადაადგილებული პირი. მათი გასაყიდი საქონელია ყვავილები, სანთლები, ხილი, კვერცხი და სახლში დამზადებული საკვები პროდუქტი. საქონლის ღირებულება იმდენად დაბალია, რომ მათთვის ბაზრის დახლში ფულის გადახდა წარმოუდგენელია და გადასახადების შიშის გამო საკუთარი საქმიანობის ფორმალიზებას არც განიხილავენ. უმრავლესობა უკვე ათწლეულებია რაც ამ საქმიანობას ეწევა, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც გარევაჭრობით დროებით არის დაკავებული. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი პანდემიამდე ძიძად მუშაობდა და ანაზღაურებით კმაყოფილი იყო, თუმცა ტრანსპორტის შეჩერების შემდეგ უშემოსავლოდ დარჩა. მის მეუღლეს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და მკურნალობა ესაჭიროება, რის ხარჯებსაც პენსია ვერ წვდება. ამ მიზეზების გამო, მისთვის გარევაჭრობის დაწყება უალტერნატივო გადაწყვეტილება იყო. სხვა რესპონდენტებისთვისაც, უკიდურესი გაჭირვება იყო გარევაჭრობით დაკავების ერთადერთი მიზეზი. პანდემიის დროს უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამსახური, მათ შორის გარემოვაჭრეების ოჯახის წევრებმა და ოჯახის რჩენის ვალდებულება მთლიანად რესპონდენტებს დააწვათ.

“ოჯახში ოთხნი ვცხოვრობთ და ყველა უმუშევარია ჩემ გარდა. შვილმა უმაღლესი დაამთავრა, თუმცა სამსახურს მაინც ვერ პოულობს. ნაცნობი თუ არ გყავს, ვინ დაგასაქმებს...”

რესპონდენტების დიდ ნაწილს თავად აქვს უმაღლესი განათლება მიღებული და გარევაჭრობამდე ფორმალურ სექტორშიც ყოფილან დასაქმებულები. ქალები დაოჯახებას და შვილების გაჩენას ასახელებენ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად თუ რატომ ვერ შეძლეს საკუთარი პროფესიით დასაქმება ან სამსახურის შენარჩუნება, რაც ზრუნვის ტვირთის არათანაბარ განაწილებაზე მიუთითებს. მოგვიანებით კი გაჭირვებამ აიძულათ გარევაჭრობით დაკავებულიყვნენ. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, საოჯახო საქმეები ყოველთვის მათი შესასრულებელი იყო და ამ რეალობაზე პანდემიას დიდი გავლენა არ მოუხდენია.

“პანდემიამდეც და პანდემიის დროსაც საშინაო საქმე ქალის შესასრულებელი იყო. მე პირადად, რაც ოჯახი შევქმენი ესე ვარ”.

პანდემიის დროს საკვებ პროდუქტებსა და წამლებზე მომატებულმა ფასებმა, რასაც პირბადეებისა და სადეზინფექციო ხსნარის ხარჯები დაემატა, გარემოვაჭრეების სტრესის ხარისხი გაზარდა. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, დისტრიბუტორები პროდუქციას უფრო ხელსაყრელ ფასად ქსელურ მარკეტებს სთავაზობენ, რის შედეგადაც გარემოვაჭრეებს კიდევ უფრო ნაკლები მოგება რჩებათ. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, გარემოვაჭრე ქალები ფიზიკური შრომის გარდა ინტელექტუალურ და ემოციურ შრომასაც ეწევიან. სწორედ მათ უწევთ მცირე მოგების ოჯახის საჭიროებებზე განაწილება. გარდა ამისა, ისინი ძალიან განიცდიან დაუსაქმებელი შვილებისა და შვილიშვილების პრობლემებს, რაზეც დიდი ემოციური რესურსი მიდის.

რესპონდენტების უმრავლესობას საკმაოდ მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს. ბევრ მათგანს კორონავირუსი აქვს გადატანილი, რამაც უამრავი გვერდითი ეფექტი დაუტოვა და ამიტომაც, შემოსავლის დიდი ნაწილი წამლებზე მიდის. რამდენიმე მათგანს წამლების შესაძენად სესხის აღებაც მოუწია, რის პროცენტსაც დღემდე იხდის. მიუხედავად ჯანმრთელობის რთული მდგომარეობისა ქალებმა აღნიშნეს რომ მათ არ აქვთ დასვენების შესაძლებლობა:

“კოვიდმა სისუსტეები დამიტოვა, მაგრამ იმის ფუფუნება არ მაქვს, რომ სახლში ვიჯდე.”

ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს მათი სამუშაო პირობებიც, რაც დიდხანს ფეხზე დგომას, სიცხეში ყოფნას გულისხმობს. ტრანსპორტზე დაწესებული შეზღუდვის გამო ბევრ

მათგანს დიდი მანძილის ფეხით გავლაც უწევს. მიუხედავად ამისა, გარემოვაჭრე ქალებს, სხვა ალტერნატივა არ აქვთ, რადგან მათი და მათი ოჯახის წევრების ეკონომიკური მდგომარეობა, პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად გააუარესა.

გარემოვაჭრე ქალების მდგომარეობა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე

პანდემიის პერიოდში, საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში არაერთი შეზღუდვა დაწესდა. ისეთი შეზღუდვების დაწესება, როგორიცაა კომენდანტის საათი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერება, ღია და დახურული ბაზრების დაკეტვა და სხვა, განსაკუთრებულად საზიანო აღმოჩნდა არაფორმალურად დასაქმებული ადამიანებისთვის. მარტივი დეფინიციით, არაფორმალური დასაქმება ისეთი ტიპის შრომის გაწევას გულისხმობს, რომელიც ხელშეკრულებისა და სოციალური დაცვის გარანტიების გარეშე იწარმოება; ამის გამოა, რომ მსგავსი შრომითი პრაქტიკების ზუსტ სტატისტიკურ ინფორმაციას სახელმწიფო არ ფლობს. არაფორმალურად დასაქმებული ადამიანი არის, როგორც დაქირავებული მშრომელი, ასევე თვითდასაქმებულიც. პანდემიის დროს განსაკუთრებული ზიანი, სწორედ აღნიშნულ სექტორს მიაღება, რამაც თემის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი განაპირობა.

არაფორმალურად დასაქმებას გენდერული სპეციფიკა გააჩნია - მომსახურების სფერო, გარევაჭრობა და საოჯახო შრომა ქალებით დომინირებადია (ლანჩავა, ქებურია და ცინცაძე 2020, 49). ამის გამო, პანდემიის ზიანის ასახვა ქალების მდგომარეობაზე მეტად პრობლემური და საყურადღებოა - მეტი ალბათობაა ქალების მასობრივი გაღარიბების და მომავალში მათი უმუშევრად დარჩენის. აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც აღვნიშნეთ, წინამდებარე სტატიისთვის კვლევითი ინფორმაცია გარემოვაჭრე ქალებისგან შევაგროვეთ. ყველა მათგანი პენსიონერი იყო, მიუხედავად იმისა, რომ შერჩევის მსგავსი კრიტერიუმი რესპონდენტების მოძიების დროს გათვალისწინებული არ გვქონია. ვფიქრობთ, ეს ფაქტი ცალკეულ მიგნებას წარმოადგენს, და ხაზს უსვამს პენსიონერი ქალების შემაშფოთებელ ეკონომიკურ მდგომარეობას, რის გამოც, ქალების გარევაჭრობა მათი და მათი ოჯახებისთვის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის პასუხად, ხელისუფლებამ ანტიკრიზისული გეგმა შეიმუშავა. ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც საწყისად 2020 წლის აპრილში⁵ და შემდეგ, ამავე წლის ნოემბერში⁶ შევიდა ძალაში, სხვა შეღავათებთან ერთად, კომუნალური გადასახადების განსაზღვრული სუბსიდირება და, იმ პირებისთვის, ვისი საქმიანობაც შეზღუდვების გამო შეჩერდა, ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით განსაზღვრა. აღნიშნული დოკუმენტი ნათლად წარმოაჩენს ფორმალურად დასაქმებულის მეტ წვდომას მსგავსი ტიპის ბენეფიტებზე, განსხვავებით არაფორმალურ სექტორში ჩაბმული ადამიანებისგან; თუ არაფორმალურ სექტორში დასაქმებულისთვის ერთჯერადი, 300 ლარიანი დახმარება განსაზღვრა ხელისუფლებამ, ფორმალურად დასაქმებულთათვის 200 ლარიანი დახმარების პაკეტით სარგებლობა 4 თვის ვადით განისაზღვრა. თუმცა, კვლევამ ცხადყო, რომ პრაქტიკაში თუნდაც ერთჯერად დახმარებაზე წვდომა მარტივი არ ყოფილა. უფრო მეტიც, ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ამ დახმარებით ვერ ისარგებლა. რესპონდენტებმა გაგვიზიარეს ისიც, რომ ხელისუფლებას არასდროს ენდობოდნენ და არც ახლა ენდობიან. მათი თქმით, საქართველოში ჯერ არ ყოფილა მთავრობა, რომელსაც „ხალხის ბედი ადარდებს“. ამის გამო, ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებულ შეღავათებს ისინი სკეპტიკურად უყურებენ:

მე ვინ მომცემდა დახმარებას. არც არავის მოუცია და არც არავინ მომცემს. ამდენი წელია გარეთ ვდგავარ და მე დახმარება არავისგან მიმიღია. არც ვიცი, როგორ უნდა ამეღო, თუ ასაღებია. ან როგორ დავამტკიცო, გარეთ რომ ვვაჭრობ?

აღნიშნული მიგნებიდან ვარკვევთ, რომ ანტიკრიზისული გეგმით სარგებლობის მექანიზმის შესახებ, ინფორმაცია არ ყოფილა საკმარისად ეფექტიანად გავრცელებული. ამასთანავე, ქალების თქმით, პრობლემას წარმოადგენს ის ფორმა, რითიც მათ მოუწევდათ საკუთარი შრომითი გამოცდილების დამტკიცება:

⁵ პუბლიკა. "არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები ან თვითდასაქმებულები მიიღებენ ერთჯერად 300 ლარს - გახარია." 24 აპრილი, 2020. მოპოვებულია 16 იანვარი, 2021.

⁶ საქართველოს მთავრობა. "მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მე-4 ეტაპი - მოქალაქეების და კერძო სექტორის მხარდაჭერის ახალი პაკეტი." 27 ნოემბერი, 2020. მოპოვებულია 20, 2021. http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=288&info_id=77894&lang_id=GEO.

რომ მივსულიყავი ვისთვის რა მეთქვა?! როგორ დავუმტკიცებდი, რომ გარეთ ვიჯექი და სანთლებს ვყიდდი. ვინ დამიჯერებდა. შეღავათები ჩვენთვის არ ყოფილა არანაირი. ჩვენ არსად ვწერივართ, რომ ვმუშაობთ.

ამ თემასთან დაკავშირებით შეგროვებული ინფორმაციით, ვასკვნით, რომ გარემოვაჭრე ქალები არაფორმალურად დასაქმებულ მდგომარეობას, პრობლემად აღიქვამენ. მათი თქმით, რთულია მრავალწლიანი შრომითი გამოცდილებების დამტკიცება მხოლოდ იმიტომ, რომ ხელშეკრულება არ ჰქონიათ. ანტიკრიზისულ გეგმაზე საუბრის დროს, ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა:

რომც მოეცათ ჩემთვის სამასი ლარი... სამასი ლარი დღეს ფული აღარ არის. არაფერში მეყოფოდა. ყველაფერი გაძვირებულია. იმხელა ზარალი ვნახეთ სამასი ლარი მე კი არა, არავის ეყოფოდა. ერთჯერადად.

ჩვენს კითხვაზე, თუ როგორ შეცვალა მათი და მათი ოჯახების მდგომარეობა პანდემიამ, ყველა მათგანი ბრაზითა და სევდიანად გვიზიარებდა, რომ მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა და ყველაფერი „ჯერ კიდევ უარესდება“. ამას, ქალების თქმით, ისეთი ფაქტორები განაპირობებს, როგორიცაა საკვები პროდუქტებისა და ტექსტის ფასების ზრდა, მედიკამენტების შესაძენად საჭირო სახსრების არ არსებობა. პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღწერა, როგორც „სახლში ყოფნის სიძვირე“. როდესაც ჩავეკითხეთ, თუ რას გულისხმობდა ამაში, აღნიშნა, რომ სახლში ყოფნა უფრო მეტ კვებისა და კომუნალურების ხარჯებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებულად რთულია, როცა სახლში ბავშვებიც ცხოვრობენ, რადგან კომუნალური გადასახადების დაზოგვა ასეთ დროს შეუძლებელი ხდება:

ბავშვებს ხომ არ გავაცივებ. სახლში ყოფნა ფასიანია. გათბობის ფული, დენის ფული... მთელი დღე რომ სახლშია ოჯახი უფრო მეტს მოიხმარ. გაცივდები და წამლების ფული უარესად ძვირი ჯდება.

გარემოვაჭრე ქალების თქმით, კომუნალური გადასახადების სუბსიდირების ის სქემა, რომელიც ხელისუფლებამ ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში შეიმუშავა არასაკმარისია, რადგან შეღავათებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოქალაქე გაზისა თუ დენის მოხმარების ფიქსირებულ ლიმიტში ჯდება. მრიცხველზე ამ ლიმიტის გადაცილების ასახვის შემთხვევაში, აბონენტებს კომუნალური გადასახადის სრულად გადახდა უწევთ:

ოჯახი ვისაც ყავს იმას არანაირად არ ეყოფა ეგ შეღავათები. მთელი დღე, 24 საათი რომ სახლში ზიხარ, რანაირად გეყოფა... ოდნავ გადააცილებ თუ არა, მთლიანად იხდი გადასახადს. არ გადაიხდი და ჩაგიჭრიან ყველაფერს.

რესპონდენტების თქმით, კომუნალური გადასახადების სუბსიდირება იმ შემთხვევაში იქნებოდა ეფექტიანი, თუ ხელისუფლება ყველასთვის უზრუნველყოფდა ფიქსირებულ დახმარებას; ზედმეტი მოხმარების შემთხვევაში კი მოუწევდათ არა მთლიანი გადასახადის, არამედ, მხოლოდ ნაწილის გადახდა.

გარემოვაჭრე ქალებმა, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან ყველაზე მძაფრად ტრანსპორტის შეჩერება დაასახელეს. მათი თქმით, სახლიდან სავაჭრო ობიექტზე მისასვლელად ტაქსის ტარიფები გაორმაგებულია. ხშირ შემთხვევაში, დღიური მოგება ტრანსპორტირებისთვის და კვებისთვის საჭირო სახსრებს ვერ ფარავს. ზოგ მათგანს, ამის გამო მნიშვნელოვანი ვალების აღება მოუწია. ზოგიერთ რესპონდენტს ვთხოვეთ, შეედარებინა თუ როგორი გავლენა მოახდინა მათი და მათი ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობაზე 2020 წლის მარტსა და შემდეგ, ნოემბერში დაწესებულმა შეზღუდვებმა. ქალების თქმით, პირველად დაწესებული შეზღუდვები უფრო მარტივად გადაიტანეს, მეორედ დაწესებულმა შეზღუდვებმა კი მათი მდგომარეობა უარესობისკენ შეცვალა:

პირველი კარანტინი უფრო მარტივად გადავიტანეთ. ცოტა დანაზოგი გვექონდა და ეკონომიას ვაკეთებდით. მეორე, ძალიან გაგვიჭირდა. არაფრის ფული აღარ გვექონდა ოჯახში - არავის. ბევრი ვალი დაგვედო და ახლაც ვაჭრობა აღარ არის. ტრანსპორტის გაჩერების გამო ხალხი აღარ დადის.

გარემოვაჭრე ქალების თქმით, მათი ამჟამინდელი დღიური მოგება ყოველდღიურ საჭიროებებს ვერ წვდება. ამის ძირითად მიზეზად ქალებმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვა დაასახელეს. მათი თქმით, ხელისუფლება გარემოვაჭრეების პრობლემებით არ ინტერესდება, რაზეც მათ მიერ მიღებული არათანმიმდევრული გადაწყვეტილებები მიანიშნებს:

მარტო ბაზრების გახსნა არ არის. ხალხს სიარული ხომ უნდა, ბაზარზე რომ მოვიდეს?! ხალხი არ დადის. ვდგავარ ახლა და ხალხი არ დადის. ტაქსის ფული, ჭამის ფული ხო უნდა შევიტანო ოჯახში? ახლოს რომ ვცხოვრობდე ფეხით მაინც ვივლიდი.

პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებთან დაკავშირებულმა შეფასებებმა ცხადი გახადა, რომ გარემოვაჭრეების პრობლემებით ხელისუფლება არ დაინტერესებულა; არ განუსაზღვრავს

ოჯახების ამ გზით რჩენის სიმძიმე და ის ეკონომიკური გასაჭირები, რომელიც იმ ოჯახებმა მიიღეს, სადაც ძირითად მარჩენალს გარემოვაჭრეები წარმოადგენდნენ. ამასთანავე, სახელმწიფოს არ შეუქმნია ეფექტიანი ანტიკრიზისული გეგმა, რაც არაფორმალურ სექტორში დასაქმებული მშრომელებისთვის ბენეფიტებზე წვდომის მექანიზმს ეფექტიანად უზრუნველყოფდა. მიმდინარე კრიზისების ფონზე, გარემოვაჭრე ქალები ტრანსპორტის გახსნის იმედად რჩებიან. მათი თქმით, „*სხვა ყველა იმედი დაკარგეს*”.

დასკვნა

კვლევითი სტატიით, შევეცადეთ, გარემოვაჭრობის სოციალური და ეკონომიკური ასპექტების ჩვენებას. თემასთან დაკავშირებულმა მიგნებებმა გამოკვეთა, რომ დღესდღეობით გარემოვაჭრობით, ძირითადად, თავს ირჩენენ ქალები, პენსიონერები, იძულებით გადაადგილებული პირები. საგულისხმოა ისიც, რომ შერჩევის განსაზღვრული კრიტერიუმის არ ქონის მიუხედავად, ყველა გარემოვაჭრე ქალი, ვისაც კვლევის მიზანთან დაკავშირებულ საკითხებზე ვესაუბრეთ პენსიონერია. მათთვის, ოჯახების რჩენის ერთადერთ წყაროს სწორედ გარევაჭრობა წარმოადგენს. პანდემიით გამოწვეულმა ისეთმა შეზღუდვებმა, როგორიცაა ღია და დახურული ბაზრების აკრძალვა და ტრანსპორტის შეჩერება აღნიშნული საქმიანობით დაკავებული ადამიანები შემოსავლის წყაროს გარეშე დატოვა. წლების განმავლობაში სახელმწიფო სტრუქტურები გარევაჭრობის სოციალური და ეკონომიკური გარემოებების ანალიზით არ ინტერესდებიან რის გამოც ამ სივრცეებში დასაქმებული ადამიანების პრობლემების იდენტიფიცირება არ ხდება. ამის გამო, გარემოვაჭრეები ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ენდობიან. რესპონდენტების თქმით, პრობლემას წარმოადგენს შრომითი გამოცდილებების დამტკიცების შეუძლებლობა, რაც მათი მრავალწლიანი შრომის უხილავობას განაპირობებს; მათ საკუთარი ეკონომიკური გასაჭირების მტკიცება არ შეუძლიათ, რის გამოც იმ არასაკმარისი ეკონომიკური ბენეფიტებითაც კი ვერ სარგებლობენ, რომელიც ხელისუფლებამ ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში შეიმუშავა. საგულისხმოა ისიც, რომ გარემოვაჭრობა მძიმე ფიზიკურ შრომას მოითხოვს. განსაკუთრებით რთულია სიცივეში დიდხანს ყოფნა და ფეხზე დგომა, რაც ნეგატიურად აისახება გარემოვაჭრეების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამის გამო, გარემოვაჭრე პენსიონერმა ქალებმა, ერთ-ერთ ძირითად პრობლემად მედიკამენტებზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაასახელეს; აქედან გამომდინარე, ვასკვნით რომ გარემოვაჭრე პენსიონერი ქალების ყოველდღიური პრობლემები სისტემურია - პენსიის სიმცირის გამო, უწევთ

ისეთ მძიმე შრომით პროცესში ჩართვა, როგორც გარევაჭრობა; მეორე მხრივ, სახელმწიფო მათ ეკონომიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობას არ ითვალისწინებს და პრობლემის გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და გადაჭრის ნაცვლად ისეთი ტიპის ეკონომიკურ ბენეფიტებს აანონსებს, რომლის სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა არსებული რეალობიდან გამომდინარე ბუნდოვანი და ხშირად, შეუძლებელიც კია გარევაჭრობის არაფორმალურობის გამო. განხილული პრობლემებიდან გამომდინარე, ვიმედოვნებთ, სტატია ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, გარევაჭრობის სოციალური და ეკონომიკური ასპექტების ჩვენებას და, მეორე მხრივ, ისეთი საკითხების სიღრმისეულად კვლევის საჭიროებას გამოკვეთს, როგორიცაა პენსიონერი გარემოვაჭრე ქალებისთვის ოჯახის რჩენის სიმძიმე, გარევაჭრობის ფორმალიზების პერსპექტივები და პრობლემების გადაჭრის იმ ინდივიდუალური ხედვების სისტემური ანალიზი, რომელიც ცენტრში გარემოვაჭრე ქალების გამოცდილებებს მოაქცევს.

ბიბლიოგრაფია

International Labour Organization. n.d. "The Regulatory Framework and the Informal Economy."

ლანჩავა, გიორგი, თამუნა ქებურია, და გიორგი ცინცაძე. 2020. *შრომითი ურთიერთობები და სოციალური დაცვა პანდემიის დროს*. თბილისი: EMC.

ქარჩილაძე, ნათია. 2018. *არაფორმალური ეკონომიკის გენდერული ასპექტები: თბილისში მცხოვრები გარემოვაჭრე ქალების მაგალითზე*. თბილისი: platforma.ge.

ქებურია, თამუნა. 2017. „რატომ გაჰყავთ გარემოვაჭრეები საჯარო სივრციდან? სიმპტომების და რისკების შესახებ.“ (EMC). <https://emc.org.ge/ka/products/ratom-gahqavt-garemovachreebi-sajaro-sivrtsidan-simptomebis-da-riskebis-shesakheb?fbclid=IwAR0R4RrB43Hfp42WwYMRHgtaN0BJJ1ym8HSsPhdez1aIVliySqPPkcleVtl>.